

2011 წლის 1 და 4 თებერვალს « ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს » ოფისში, პროექტის "ქართული დიასპორა ქუთაისის განვითარებისათვის" ფარგლებში ჩატარდა ბიზნეს-საინფორმაციო ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის პრეზენტაცია.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა, ბატონმა იოსებ ხახალაიშვილმა, პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს, სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, მიაწოდა ინფორმაცია სააგენტოს მიერ პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების, მიღწეული შედეგების, სამომავლო გეგმებისა და პერსპექტივების შესახებ.

პროექტის ბიზნეს-ექსპერტმა, ბატონმა კახაბერ გვაცელაძემ, მოწვეულ სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია ბიზნეს-საინფორმაციო ცენტრის ოფიციალური ვებ გვერდის იმ სერვისებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომელიც ადგილობრივ მეწარმეებს ხელს შეუწყობას თავიანთი საქმიანობის უკეთ წარმართვაში, საწარმოო პროცესების მართვისა და დაგეგმარების ახალი თანამედროვე, ინოვაციური სისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვაში, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში, ახალი ბაზრებისა და ბიზნეს-პარტნიორების მოძიებაში.

პრეზენტაციის მსვლელობისას, ონლაინ რეჟიმში განხორციელდა, ქართული დიასპორა - ქართული ფონდის ხელმძღვანელის - ქალბატონი მარეხი ტოგონიძის პირდაპირი ჩართვა ჰოლანდიიდან. მან შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია ბიზნეს-საინფორმაციო ცენტრის ახალი სერვისის - "პარტნიორის ძებნა ჰოლანდიაში" შესახებ და უპასუხა ადგილობრივი საწარმოების წარმომადგენელთა შეკითხვებს.